# პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტეკონომიური ტრანსფორმაცია და თანამედროვე გამოწვევები

**გოჩა უგულავა**
ეკონომიკის დოქტორი, ევროპის ცენტრალური
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, gocha.ugulava@cue.edu.ge

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური ეკონომია; ინსტიტუციური რეფორმები; პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები; განვითარების ტრაექტორიები

**J.E.L. Classification**: P30, O57 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.11

**ციტირებისთვის:** უგულავა გ., (2025) პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტეკონომიური ტრანსფორმაცია და თანამედროვე გამოწვევები. ეკონომიკური პროფილი, ტ. 20, 1(29), გვ. 115-126. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.29.11

**ანოტაცია.** *პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და კომპლექსურ მოვლენას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები აღმოჩნდნენ რთულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ გარდამავალ პერიოდში, რომლის შედეგები დღემდე აისახება მათ შიდა და საგარეო პოლიტიკაზე. ნაშრომი მიზნად ისახავს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ტრანსფორმაციის ანალიზს, პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებზე ფოკუსირებით, რომლებიც განსაზღვრავენ რეგიონის სტაბილურობასა და განვითარების პერსპექტივებს.*

*განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფოსა და ბაზრის ურთიერთქმედების მოდელებს, ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესებს, ასევე ამ პროცესების მიმართ არსებულ შიდა და გარე წინააღმდეგობებს. ნაშრომი ასევე განიხილავს გეოპოლიტიკურ კონკურენციას, რაც გავლენას ახდენს პოსტსაბჭოთა სივრცის ტრანსფორმაციულ გზებზე—განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციის, ევროკავშირის, ჩინეთისა და აშშ-ის ჩართულობის კონტექსტში. შემთხვევების ანალიზის (Case Study) ფარგლებში, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ერთად, განხილულია საქართველოს მაგალითიც, როგორც ქვეყნისა, რომელმაც მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა, თუმცა კვლავ ექვემდებარება გარე ზეწოლასა და შიდა ინსტიტუციურ გამოწვევებს.*

*მეთოდოლოგიურად, ნაშრომი ეფუძნება შედარებით ანალიზსა და შემთხვევების შესწავლას, რაც საშუალებას იძლევა გამოვლინდეს როგორც ზოგადი ტენდენციები, ასევე ქვეყნების ინდივიდუალური თავისებურებები. ანალიზი მოიცავს პოლიტიკურ დოკუმენტებს, ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და ექსპერტულ შეფასებებს.*

*დასასრულს, ნაშრომი ასახავს პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის მთავარ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, განსაკუთრებით თანამედროვე გლობალური კრიზისების ფონზე, რაც ამ სივრცის სტაბილურობისა და განვითარების მომავალი გზების გადაფასებას მოითხოვს.*

## ძირითადი ნაწილი

პოლიტიკური ეკონომია, როგორც დისციპლინა, რომელიც იკვლევს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ურთიერთქმედებას, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდიდა. XVIII–XIX საუკუნეების ფილოსოფიურად დამუხტული კლასიკური მსჯელობიდან დაწყებული და თანამედროვე ინტერდისციპლინური ემპირიული მეცნიერებით დასრულებული, პოლიტიკურმა ეკონომიამ არაერთხელ გადახედა თავის მიზნებს, მეთოდებსა და კვლევის ობიექტს.

პოლიტიკური ეკონომია ღრმა ისტორიულ ფესვებს ეყრდნობა. იგი XVIII საუკუ-

ნეში გაჩნდა, როგორც მცდელობა, ახსნილიყო საზოგადოებრივი მოწყობა რესურსების წარმოების, განაწილებისა და გამოყენების ჭრილში. მას შემდეგ პოლიტიკურმა ეკონომიამ მრავალი გარდაქმნა განიცადა - ფილოსოფიურ-მორალური დისციპლინიდან ჩამოყალიბდა როგორც თანამედროვე ემპირიული მეცნიერება.

1990-იანი წლებიდან საგანგებო მნიშვნელობას იძენს ინსტიტუციური მიდგომა. მკვლევრები თანხმდებიან, რომ ეკონომიკური ინსტიტუტების — საკუთრების უფლებების, სასამართლო სისტემის, საგადასახადო მექანიზმების — ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდგრადი განვითარებისათვის. მრავალი სამეცნიერო ნაშრომიც ხაზს უსვამს ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების როლს, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნების განვითარების ტრაექტორიას. (North, 1990; Acemoglu, Johnson, & Robinson, 2001; Acemoglu & Robinson, 2012)

XXI საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკური ეკონომია სწრაფად ვითარდება. დღეს იგი წარმოადგენს ინტერდისციპლინურ, ემპირიულ მონაცემებზე ორიენტირებულ სფეროს, რომელიც იკვლევს თემათა ფართო სპექტრს — საარჩევნო ქცევიდან და უთანასწორობიდან დაწყებული, მდგრადი განვითარებითა და გლობალიზაციით დასრულებული. თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ევოლუცია ასახავს ვიწროეკონომიკური მსჯელობიდან კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი ანალიზისაკენ გადაადგილებას. ამგვარად, პოლიტიკური ეკონომია კვლავ იმ დებატების ცენტრში ექცევა, რომლებიც ცდილობენ პასუხის გაცემას კითხვებზე, თუ როგორ აყალიბებს პოლიტიკა და ეკონომიკა სახელმწიფოების ბედს და რატომ ვერასოდეს იქნება ეკონომიკური გადაწყვეტილება მხოლოდ „ეკონომიკური“. ახალი პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს ინტერდისციპლინურ სფეროს, რომელიც აერთიანებს ეკონომიკის, პოლიტოლოგიის, სოციოლოგიის, ისტორიისა და სამართლის მიდგომებს. მისი მთავარი მიზანია - გააანალიზოს პოლიტიკური ინსტიტუტების, ძალაუფლების სტრუქტურებისა და სოციალური ჯგუფების ინტერესების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე. განსხვავებით ტრადიციული ეკონომიკური თეორიისგან, პოლიტიკური ეკონომია ეკონომიკას განიხილავს პოლიტიკასთან და საზოგადოებასთან განუყოფელ კავშირში. (Besley & Persson, 2011)

თანამედროვე კვლევების ყურადღების ცენტრშია კითხვა — რატომ აღწევს ზოგიერთი ქვეყანა მდგრად ეკონომიკურ ზრდას, მაშინ როდესაც სხვები ამას ვერ ახერხებენ. არსებული კვლევები მიუთითებს, რომ ინკლუზიური პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა მონაწილეობას მმართველობაში, განაპირობებენ განვითარებას, მაშინ როცა ექსტრაქტიული, ელიტების ინტერესებზე მორგებული ინსტიტუტები, იწვევს სტაგნაციასა და უთანასწორობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძალაუფლებისა და რესურსების განაწილებას, უთანასწორობის მექანიზმებს და მათ პოლიტიკურ შედეგებს — მათ შორის, სახელმწიფოს მიტაცებასა და დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზიას. (North, 1990; Acemoglu & Robinson, 2012)

პოლიტიკური ეკონომია ასევე იკვლევს არაეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის მიზეზებს, მათ შორის საარჩევნო ციკლების გავლენას, პოპულიზმს, ინტერესთა ჯგუფების ზეწოლასა და ოლიგარქიულ სტრუქტურებს. დემოკრატიული ინსტიტუტები — მაგალითად, მედიის თავი-

სუფლება, მმართველობის ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა აქტიურობა — განიხილება როგორც მდგრადი მმართველობის ძირითადი წინაპირობები. (Persson & Tabellini, 2000; Drazen, 2000)

საერთაშორისო დონეზე პოლიტიკური ეკონომია აანალიზებს გლობალურ უთანასწორობას, საერთაშორისო ორგანიზაციების როლს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებსა და გეოპოლიტიკურ ცვლილებებს. თანამედროვე გამოწვევები — პოპულიზმი, კლიმატი, ციფრული ტრანსფორმაცია, მიგრაცია — გადაფასდება რესურსებზე და ინსტიტუტებზე მათი გავლენის კონტექსტში. კვლევის ფოკუსში რჩება მდგრადობა, რეფორმები და ინსტიტუციური ტრანსფორმაციის საკითხები. ამგვარად, პოლიტიკური ეკონომია იკვლევს არა მხოლოდ ეკონომიკის ფუნქციონირებას, არამედ იმასაც, თუ ვისთვის და როგორ მუშაობს ის, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გლობალური არასტაბილურობის პირობებში. (Kitschelt & Wilkinson, 2007; Rodrik, 2020; Sachs, 2015).

მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, თანამედროვე პოლიტიკური ეკონომია აწყდება რიგ თეორიულ და პრაქტიკულ გამოწვევებს. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება უნივერსალური მოდელების შეზღუდულობა, განსაკუთრებით რაციონალური არჩევანის თეორიებზე დაფუძნებული მიდგომების შემთხვევაში. ამგვარი მიდგომები ხშირად უგულებელყოფენ გაურკვევლობას, არარაციონალურ ქცევას და კულტურულ თავისებურებებს, რაც საჭიროებს ქცევითი, სოციოკულტურული და ისტორიულ-ინსტიტუციური მიდგომების გამოყენებას.

გლობალური უთანასწორობის გაღრმავება ძირს უთხრის დემოკრატიულ ინსტიტუტებს, აძლიერებს სოციალურ პოლარიზაციას და ხელს უწყობს პოპულიზმის ზრდას. ამასთან, ღიად რჩება კითხვა: რომელი მექანიზმები შეძლებენ ერთდროულად რესურსების გადანაწილებასა და ეკონომიკური ეფექტიანობის შენარჩუნებას. პოპულისტური მოძრაობების გაძლიერება, მათ შორის განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, ასახავს კონტროლის დაკარგვის განცდას გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე. პოლიტიკური ეკონომია ჯერჯერობით არ გვთავაზობს სრულყოფილ პასუხს იმაზე, თუ როგორ უნდა მოახდინონ დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა ამ გამოწვევებთან ადაპტირება.

დამატებით პრობლემას წარმოადგენს არაეფექტიანი ინსტიტუტების რეფორმირება. ინსტიტუციური რიგიდულობა, ელიტების წინააღმდეგობა და ბიუროკრატიული ინერცია ზღუდავს გარდაქმნების შესაძლებლობებს. ინსტიტუციური ცვლილებების მექანიზმების შემუშავება წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

გლობალიზაცია და ციფრული ტექნოლოგიების ექსპანსია ცვლის ძალაუფლების განაწილებას სახელმწიფოს, ბიზნესსა და საზოგადოებას შორის. ტრანსნაციონალური კორპორაციები, ციფრული პლატფორმები და კრიპტოვალუტები ძირს უთხრიან რეგულირების ტრადიციულ მექანიზმებს. წარმოიქმნება მოთხოვნა ახალი ტიპის საერთაშორისო მმართველობაზე, რომელიც შეძლებს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას. (Fukuyama, 2014)

მეთოდოლოგიური გამოწვევები მოიცავს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამტკიცების სირთულეს, კვაზი-ექსპერიმენტული მიდგომების შეზღუდულობასა და თეორიული რეფლექსიის დეფიციტს. პოლიტიკური ეკონომია საჭიროებს ბალანსს

ემპირიულ მონაცემებსა და კონცეპტუალურ სიღრმეს შორის.

დაბოლოს, ეკოლოგიური დღის წესრიგი მოითხოვს პოლიტეკონომიურ ანალიზს. „მწვანე გარდაქმნის“ ხარჯების სამართლიანი განაწილებისა და ეფექტიანი ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების საკითხები შეუძლებელია ძალაუფლების, ინტერესებისა და ინსტიტუციური კონტექსტის გათვალისწინების გარეშე.

ახალი პოლიტიკური ეკონომიის მიდგომები დიდწილად ცდილობს წარსულში არსებული ნეოლიბერალური პარადიგმების გადახედვას და ინსტიტუტების, ინტერესთა ჯგუფებისა და ძალაუფლების ურთიერთქმედების უფრო კომპლექსური სურათის წარმოჩენას. თუმცა, ამ მიდგომებსაც აქვთ სუსტი მხარეები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი იგნორირებენ ლოკალურ კონტექსტსა და ძალაუფლების არათანაბარ განაწილებას. ახალი პოლიტიკური ეკონომია ხშირად ეფუძნება რაციონალური არჩევანის თეორიას, რომლის მიხედვითაც აქტორები (ინსტიტუტები, ჯგუფები, ინდივიდები) მოქმედებენ საკუთარი ინტერესების მაქსიმიზაციის ლოგიკით. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტრუქტურული ანალიზის სისტემატიზაციას, მაგრამ ნაკლებად ითვალისწინებს კულტურულ, იდეოლოგიურ და ნორმატიულ ფაქტორებს, რომლებიც რეალურ პოლიტიკურ პროცესებში დიდ როლს თამაშობს. გარდა ამისა, ზოგიერთი ახალი თეორია ზედმეტად ოპტიმისტურად უყურებს ინსტიტუციური რეფორმების შესაძლებლობას, მაშინ როცა რეალობა მიუთითებს სისტემური წინააღმდეგობებისა და ბიუროკრატიული ინერციის არსებობაზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია ერთ-ერთი ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის ანალიზში. ფორმალურად ჩატარებული რეფორმების მიუხედავად, ამ ქვეყნებში ხშირ შემთვევაში დამკვიდრდა ჰიბრიდული მმართველობა, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ფორმალურად არსებობს, მაგრამ რეალურად მუშაობს არაფორმალური მექანიზმების საფუძველზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნები კარგი მაგალითია იმის შესაფასებლად, თუ როგორ იკვეთება ახალი პოლიტიკური ეკონომიის მიდგომები ლოკალურ რეალიებთან. მიუხედავად იმისა, რომ რიგ ქვეყნებში განხორციელდა არაერთი ინსტიტუციური რეფორმა და გატარდა ეკონომიკური ლიბერალიზაცია, სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადობა კვლავ გამოწვევად რჩება. პოლიტიკური ელიტების ინტერესები და მათი გავლენა საჯარო სექტორზე ხშირად ზღუდავს ინსტიტუციური ნორმების დაცვას. ძალაუფლების ცენტრალიზაცია, მედიის თავისუფლებაზე ზეწოლა და სამართლებრივი ინსტიტუტების პოლიტიზაცია მიანიშნებს იმაზე, რომ ფორმალური ინსტიტუტები ხშირად ვერ ასრულებენ თავის რეალურ ფუნქციას. ამგვარ პირობებში ახალი პოლიტიკური ეკონომიის მიდგომები საჭიროებს ადაპტაციას – უფრო ღრმა და კრიტიკულ ანალიზს, რომელიც გაითვალისწინებს ძალაუფლების არაფორმალურ მექანიზმებსაც. (Hellman, 1998).

განსაკუთრებით, პოსტსაბჭოთა სივრცეში ძალაუფლება ხშირად განაწილებულია ფორმალური სისტემის გარეთ. კლანური სტრუქტურები, პარტიულობა, და ელიტური გარიგებები ქმნიან არაოფიციალურ სისტემას, რომელიც ხშირად ძლიერად აღემატება ოფიციალურ წესებს. ამ მექანიზმების იგნორირება პოლიტიკური ეკონომიის

ანალიზში მნიშვნელოვნად ამცირებს თეორიის პრაქტიკულ რელევანტურობას.

რამოდენიმე კონკრეტული მაგალითის განხილვა პოლიტეკონომიურ ჭრილში ნათლად წარმოაჩენს ამ პრობლემების არსს.

საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იქცა სწრაფი ლიბერალიზაციისა და ინსტიტუციური რეფორმების ლაბორატორიად: აშკარად შემცირდა ქუჩის კორუფცია, გაუმჯობესდა მომსახურების სფერო და საბიუჯეტო მართვა. თუმცა, ამავე პერიოდში ხელისუფლების კონცენტრაცია, სასამართლოს პოლიტიზაცია და ელიტარული ინტერესების პრივილეგირება სისტემურ პრობლემებად დარჩა. დღეს, საქართველოში ინსტიტუტები რჩებიან პიროვნებებზე მიბმულ და არა დამოუკიდებელ ძალებად. პოლიტიკური კონკურენცია ხშირად პარტიების ნაცვლად ლიდერული დაპირისპირების დონეზე ვითარდება, ხოლო ბიზნესსა და პოლიტიკას შორის ბმა ახდენს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენას. ბოლო პერიოდის მოვლენებმა - სამართლებრივმა ადაპტაციამ, პატრონაჟისა და კლიენტელიზმის ინსტიტუციონალიზაციამ, მედიაზე და არსამთავრობო სექტორზე მასირებულმა შეტევამ, სასამართლო სისტემის სრულმა მიტაცებამ, დაადასტურა, რომ მზარდია ინსტიტუციური დრეიფი ავტოკრატიისაკენ.

უკრაინაში 2004 და 2014 წლების რევოლუციებმა აჩვენა მოსახლეობის მოთხოვნა დემოკრატიულ ცვლილებებზე, თუმცა ინსტიტუციური სისუსტე და ოლიგარქიული ინტერესები ხშირად ბლოკავენ რეფორმებს. „მაიდნის“ შემდეგ შექმნილი მოლოდინების მიუხედავად, ინტერესთა ჯგუფები კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენდენ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. სასამართლოს დამოუკიდებლობა და პოლიტიკური პარტიების შინაარსობრივი განახლება კვლავ პრობლემად რჩება.

რუსეთის აგრესიამ უკრაინის ინსტიტუციურ განვითარებაზე მრავალდონიანი და წინააღმდეგობრივი გავლენა მოახდინა — ერთი მხრივ, გააძლიერა ზოგიერთი პროცესი, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო გამოკვეთა არსებული სისუსტეები. 2014 წლიდან, და განსაკუთრებით 2022 წლის ფართომასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, უკრაინა აღმოჩნდა ინსტიტუციური მობილიზაციისა და ეგზისტენციური გამოწვევის პირობებში. ერთი მხრივ, ომმა დააჩქარა ეროვნული იდენტობის კონსოლიდაცია, გაზარდა ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების (განსაკუთრებით არმიის, პრეზიდენტისა და მოხალისეობრივი ქსელების) მიმართ და გააქტიურა საერთაშორისო ინტეგრაცია, პირველ რიგში — ევროკავშირთან. განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმები თავდაცვის სექტორში, ციფრულ განვითარებასა და ჰუმანიტარულ მენეჯმენტში. მეორე მხრივ, საგანგებო ვითარებამ გამოიწვია ძალაუფლების დროებითი ცენტრალიზაცია, პარლამენტის კონტროლის შემცირება, საჯარო დისკუსიების შეზღუდვა და რიგი რეფორმების — მათ შორის სასამართლოს, ანტიკორუფციული სისტემისა და დეცენტრალიზაციის — გადავადება. შენარჩუნებულია პოლიტიკური მილიტარიზაციისა და არაფორმალური რესურსების გადანაწილების რისკი გაუმჭვირვალე გარემოში. ამგვარად, რუსეთის აგრესიამ ერთდროულად წაახალისა ინსტიტუციური გამტკიცება ზოგიერთ სფეროში და გაამძაფრა ქრონიკული სისუსტეები სხვებში.

მოლდოვა ავლენს არასტაბილურ ინსტიტუციურ ტრაექტორიას, მერყეობს დემოკრატიზაციასა და სახელმწიფოს მიტაცებას შორის. ძირითადი ინსტიტუციური პრობლემა ოლიგარქიული გავლენაა — ათ-

წლეულების განმავლობაში პოლიტიკური და ბიზნეს-ელიტები იყენებდნენ სასამართლოებს, პროკურატურასა და პარლამენტს კერძო ინტერესების მომსახურების ინსტრუმენტად. რეფორმების ტალღებისა და ხელისუფლების ცვლილებების მიუხედავად, სამართლის უზენაესობისა და ინსტიტუტების დამოუკიდებლობის მდგრადი მექანიზმები ნელა ყალიბდება. ევროპული ინტეგრაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გარე სტიმულს, თუმცა შინაგან ბარიერებს ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვთ.

აზერბაიჯანში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა ავტორიტარული რეჟიმი პერსონალისტური მმართველობითა და ძალაუფლების მაღალი კონცენტრაციით. ინსტიტუციური პრობლემები ვლინდება პარლამენტის კონტროლის სისუსტით, სასამართლო სისტემის ფორმალურობით და მოქალაქეთა მონაწილეობის შეზღუდულობით. კორუფცია და პატრონაჟული ქსელები ღრმად არის გამჯდარი მმართველობაში, რაც აფერხებს რეალურ რეფორმებს. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტები, ისინი ფუნქციონირებენ მკაცრი ვერტიკალური მმართველობის პირობებში, სადაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება ინსტიტუციური პროცედურების გვერდის ავლით.

სომხეთი ინსტიტუციური არასტაბილურობის პირობებში აღმოჩნდა, განსაკუთრებით 2018 წლის რევოლუციური პროცესებისა და შემდგომი კრიზისების ფონზე. მიუხედავად იმისა, რომ „ხავერდოვანმა რევოლუციამ“ დემოკრატიზაციას ბიძგი მისცა, სახელმწიფოს სუსტი ინსტიტუტები — მათ შორის სასამართლო სისტემა და თვითმმართველობის ორგანოები — მზად არ აღმოჩნდნენ მდგრადი გარდაქმნებისთვის. მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება ყოფილი ელიტების ინსტიტუციონალიზებული გავლენა, პოლიტიკური პოლარიზაცია და რეფორმების არასაკმარისი განხორციელება. ყარაბაღის კონფლიქტი დამატებით ზეწოლას ახდენს ინსტიტუციურ მდგრადობაზე.

ყაზახეთი ხშირად განიხილება როგორც შედარებით სტაბილური, თუმცა მკაცრად ავტორიტარული სახელმწიფო. ეკონომიკური ზრდა შესაძლებელი გახდა ნავთობის და ბუნებრივი რესურსების წყალობით, თუმცა ამავე დროს მოხდა პოლიტიკური ელიტების გაძლიერება და გაღრმავდა ბიზნესის მონოპოლიზაცია. ინსტიტუციური სტრუქტურები ფუნქციონირებენ ისე, რომ აძლიერებენ მოქმედი ხელისუფლების პოზიციას და ზღუდავენ დამოუკიდებელ ინტერესთა ჯგუფების განვითარებას. 2022 წლის პროტესტები („იანვრის მოვლენები“) აჩვენებს, რომ ზედაპირული სტაბილურობა არ ნიშნავს ინსტიტუციურ მდგრადობას — როცა ფორმალური არხები დახშულია, არათანაბარ განვითარებასა და პოლიტიკური ჩაგვრის მიმართ უკმაყოფილება იფეთქებს. (Pomfret, 2019).

უზბეკეთში, მიმდინარე მმართველობა წარიმართა როგორც პირობითი ლიბერალიზაციის პერიოდი. თუმცა, რეფორმები — სასამართლო სისტემის მოდერნიზაცია, ეკონომიკური ლიბერალიზაცია, ცენზურის შემცირება — კვლავ კონტროლდება ზემოდან და არ ემყარება რეალურ საზოგადოებრივ კონტროლს ან მრავალპარტიულ სისტემას. ინსტიტუტები კვლავ სუსტია და დამოკიდებულია ცენტრალურ ხელისუფლებაზე. (Pomfret, 2019).

ყირგიზეთი ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელმაც განიცადა არაერთი მმართველის მშვიდობიანი გადაყენება და საარჩევნო ცვლილებები. თუმცა, ამ პროცესებს თან ახლავს ქაოსი, ინსტიტუციური დეზ-

ორგანიზაცია და ძლიერად გაყოფილი ელიტები. ინსტიტუტები სუსტია, ხშირად პიროვნებებზე დამოკიდებული, ხოლო ინტერესთა ჯგუფები ეჯიბრებიან არა პროგრამებით, არამედ რეგიონული ან კლანური დაპირისპირებით. (Pomfret, 2019).

თურქმენეთი და ტაჯიკეთი გამოირჩევიან უკიდურესად ავტორიტარული რეჟიმებით, სადაც ინსტიტუციური განვითარება პრაქტიკულად გაჩერებულია. პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებები ღრმად პერსონალიზებულია, მედია და სამოქალაქო საზოგადოება თითქმის არ არსებობს, ხოლო ინტერესთა ჯგუფები მოქმედებენ მხოლოდ არაფორმალურად ან ძალადობრივად. (Pomfret, 2019).

რუსეთი წარმოადგენს უკიდურეს შემთხვევას, სადაც ძალაუფლება ცენტრალიზებულია და ფორმალური ინსტიტუტები პრაქტიკულად დაცილებულია მოქალაქეებისგან. კრემლის მიერ შექმნილი „მართვადი დემოკრატია“ ეფუძნება ადმინისტრაციული რესურსების მაქსიმალურ მონოპოლიზაციას, ოპოზიციის დათრგუნვასა და მედიის კონტროლს. სისტემა ემყარება ელიტებს შორის არაფორმალურ კონტრაქტებს, რაც აუქმებს ღია ინტერესთა კონკურენციას. ანალოგიური ვითარებაა ბელორუსშიც (Fish, 2005; Robinson, 2011).

პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციას თან სდევს ღრმა სტრუქტურული, ინსტიტუციური და სოციალური პრობლემები, რომლებიც რეგიონული განვითარების ხასიათს დღემდე — საბჭოთა კავშირის დაშლიდან სამი ათწლეულის შემდეგაც განსაზღვრავენ. სწრაფი ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის მოლოდინების მიუხედავად, მრავალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო აღმოჩნდა ჰიბრიდული რეჟიმების, მაღალი უთანასწორობისა და ინსტიტუციური არასტაბილურობის პირობებში (Hale, 2015).

ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა იყო 1990-იან წლებში ჩატარებული "შოკური თერაპიის" და რადიკალური საბაზრო რეფორმების არაეფექტიანობა, რაც განხორციელდა სათანადო ინსტიტუციური ფუნდამენტის გარეშე. პოლანის (Polanyi, 2001) მიხედვით, ეკონომიკის საზოგადოებაში "ჩასმა" მოითხოვს ინსტიტუციურ თანხლებას, რაც განუხორციელებადი იყო იმ დროს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. შედეგად მოხდა სწრაფი პრივატიზაცია ვიწრო ელიტების სასარგებლოდ და ოლიგარქიული სტრუქტურების ჩამოყალიბება (Åslund, 2007).

რეგიონში პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგრადობა დიდწილად განისაზღვრება არა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების მექანიზმებითაც. კვლევები მიუთითებენ, რომ ექსტრაქტული ინსტიტუტები, რომლებიც ზღუდავენ მოქალაქეთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში, დომინირებს პოსტსაბჭოთა სივრცის მეტ წილ ქვეყანაში (Acemoglu & Robinson, 2012). ეს ხელს უშლის ინსტიტუციურ რეფორმებს და ამყარებს არაეფექტიანი მმართველობის ფორმებს.

დამატებითი გამოწვევაა რენტაზე დამოკიდებულება — განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებსა და რუსეთში, სადაც ნავთობისა და გაზის სექტორებზე დამოკიდებულება განაპირობებს „რენტული სახელმწიფოს“ მოდელის ჩამოყალიბებას პატრიმონიალური ძალაუფლების სტრუქტურებით (Luong & Weinthal, 2010). ასეთი ეკონომიკური მოდელი აფერხებს კონკურენტული ბაზრების განვითარებას, ამძაფრებს კორუფციას და ზღუდავს პოლიტიკურ კონკურენციას.

ამასთან, გარე ზეწოლა — როგორც დასავლური ინსტიტუტების, ასევე რუსეთის მხრიდან — ქმნის წინააღმდეგობრივ სტიმულებს რეფორმებისთვის. როგორც ვეიმ აჩვენა (Way, 2015), გეოპოლიტიკური ვექტორების კონკურენცია ხელს უწყობს ინსტიტუციურ ფრაგმენტაციასა და პოლიტიკურ პოლარიზაციას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების დღევანდელ მაგალითებზე დაფუძნებით იკვეთება რამდენიმე საერთო ელემენტიც: ინსტიტუტების ფორმალიზაცია ხშირად ზღუდავს მათ რეალურ ფუნქციონირებას, ინტერესთა ჯგუფების გავლენა მთავრობის პოლიტიკაზე დიდია და ხშირ შემთხვევაში არაგამჭვირვალე, ხოლო პოლიტიკური ეკონომია კვლავ ღრმადაა ჩამჯდარი პერსონალიზმში, ნაცვლად სისტემური და ინსტიტუციური მმართველობისა. რადგანაც ახალი პოლიტიკური ეკონომია განსხვავდება კლასიკური ეკონომიკური თეორიებისგან იმით, რომ ეკონომიკურ განვითარებას არ განიხილავს იზოლირებულად — ის აერთიანებს პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ინტერესთა ჯგუფების ლოგიკას და ძალაუფლების რეალურ დინამიკას - ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფეა, ხოლო პოლიტიკური პროცესები — ელიტებზე და არაფორმალურ შეთანხმებებზე დაფუძნებული. (Levitsky & Way, 2010; Pop-Eleches & Tucker, 2017)

ამრიგად, პოსტსაბჭოთა სივრცის პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია კვლავ დაუსრულებელია. მისი წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ სახელმწიფოები ინკლუზიური ინსტიტუტების შექმნას, რენტაზე დამოკიდებულების შემცირებასა და ძალაუფლების მქონე ელიტების მიერ ავტორიტარიზმისაკენ ინსტიტუციური დრეიფის დაძლევას.

## დასკვნები

ფორმალური ინსტიტუტების შექმნა არ ნიშნავს მათი რეალური ფუნქციონირების გარანტიას. პოსტსაბჭოთა სივრცეში ინსტიტუტები ხშირად იქმნება „ზემოდან“, მოსახლეობის აქტიური მონაწილეობისა და ინტერესთა ბალანსის გარეშე. ინტერესთა ჯგუფები, ბიზნეს-ელიტები და პარტიული სტრუქტურები ხშირად არა როგორც პლურალიზმის ფორმა, არამედ როგორც ძალაუფლების შენარჩუნების საშუალება მოქმედებენ. არაფორმალური მმართველობა და პერსონალიზებული ძალაუფლება წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაციისთვის. გლობალური ტენდენციების გავლენის ფონზე (გავლენიანი საერთაშორისო ინსტიტუტები, გეოპოლიტიკური დაპირისპირებები), სახელმწიფოთა დამოუკიდებელი გადაწყვეტილების შესაძლებლობა ხშირად იზღუდება.

ღრმა, კომპლექსურ და გრძელვადიან გავლენას პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინსტიტუციურ პროცესებზე ახორციელებს რუსეთის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომი. ის არა მხოლოდ სამხედრო აგრესიით, არამედ დეზინფორმაციით, ეკონომიკური ზეწოლით, პოლიტიკური კოოპტაციის მცდელობებით, ავტორიტარული ელიტების მხარდაჭერით და დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის განადგურებით წარმოებს.

რუსეთის ჰიბრიდული ომი ამძაფრებს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ინსტიტუციურ სისუსტეებს — სარგებლობს მმართველობის სისტემაში, სასამართლოს დამოუკიდებლობაში, მედია გარემოში და სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ფუნ-

დამენტური ხარვეზებით. იმ ქვეყნებში, სადაც ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფეა (მაგალითად, მოლდოვა, სომხეთი, ყირგიზეთი), იგი ცდილობს პროქსი ელიტების მეშვეობით სახელმწიფოს ხელში ჩაგდებას, კლიენტელიზმის გაძლიერებას და დემოკრატიული პროცედურებისადმი ნდობის რღვევას.

მეტი ინსტიტუციური მდგრადობის მქონე რეჟიმებში (მაგალითად, საქართველო, უკრაინა 2014 წლამდე), რუსეთის გავლენა ხორციელდება დეზინფორმაციული კამპანიების, ეკონომიკური სანქციებისა და პოლიტიკური ფრაგმენტაციის გზით, რაც ხელს უწყობს პოლარიზაციის გაღრმავებას და საზოგადოებრივი ერთობის შესუსტებას. პრორუსული პარტიებისა და ფსევდო არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობა ქმნის პარალელურ ინსტიტუციურ ინფრასტრუქტურას, რომელიც აფერხებს რეფორმებს და ქმნის პლურალიზმის ილუზიას.

შედეგად, რუსეთის ჰიბრიდული აგრესია არ შემოიფარგლება მხოლოდ სუვერენიტეტის დარღვევით — იგი სისტემურად აფერხებს ინსტიტუციურ განვითარებას და ბლოკავს მოძრაობას სამართლის უზენაესობის, გამჭვირვალობისა და დემოკრატიული ანგარიშვალდებულებისკენ.

ახალი პოლიტიკური ეკონომია მკვლევრებს აძლევს ინსტრუმენტებს იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ ქმნიან და ამაგრებენ ძალაუფლებას სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები ფორმალურ და არაფორმალურ გარემოში. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს მიდგომა იძლევა შესაძლებლობას უკეთ გავიაზროთ რეფორმების ჩავარდნის მიზეზები; განვსაზღვროთ, სად და როგორ შეიძლება იყოს შედეგიანი ინსტიტუციური ჩარევა; ავირჩიოთ პოლიტიკის იმპლემენტაციის უფრო მდგრადი მოდელები, რომლებიც არ ეყრდნობა მხოლოდ ელიტურ კონსენსუსს. შედეგად, ახალი პოლიტიკური ეკონომია არის არა მხოლოდ ანალიტიკური ჩარჩო, არამედ პრაქტიკული ხელსაწყოც იმ საზოგადოებებისთვის, რომლებიც დემოკრატიული განვითარების გზაზე დგანან, მაგრამ ჯერ კიდევ ებრძვიან ავტორიტარიზმის მემკვიდრეობას, ინსტიტუციური სისუსტეს და ინტერესთა მძლავრ ასიმეტრიას.

**ლიტერატურა**


1. Acemoglu D., Robinson J.A. (2012) Why Nations Fail: The Origins of Power, Prosperity, and Poverty. – New York: Crown Business.
2. Acemoglu, D., Johnson, S., & Robinson, J. A. (2001). The Colonial Origins of Comparative Development: An Empirical Investigation. American Economic Review, 91(5), 1369–1401.
3. Åslund, A. (2007). How Capitalism Was Built. Cambridge University Press.
4. Besley T., Persson T. Pillars of Prosperity: The Political Economics of Development Clusters. – Princeton: Princeton University Press, 2011.
5. Drazen A. Political Economy in Macroeconomics. – Princeton: Princeton University Press, 2000.
6. Fish, M. S. (2005). Democracy derailed in Russia: The failure of open politics. Cambridge University Press.
7. Fukuyama F. (2014) Political Order and Political Decay: From the Industrial Revolution to the Globalization of Democracy. – New York: Farrar, Straus and Giroux.
8. Hale, H. E. (2015). Patronal Politics: Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective. Cambridge University Press.
9. Hellman, J. S. (1998). Winners take all: The politics of partial reform in postcommunist transitions. *World Politics, 50*(2), 203–234.
10. Kitschelt, H., & Wilkinson, S. I. (2007). Patrons, clients and policies: Patterns of

democratic accountability and political competition. Cambridge University Press.
11. Levitsky, S., & Way, L. A. (2010). Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War. Cambridge University Press.
12. Luong, P. J., & Weinthal, E. (2010). Oil Is Not a Curse. Cambridge University Press.
13. North, D. C. (1990). Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press.
14. Persson, T., & Tabellini, G. (2000). Political Economics: Explaining Economic Policy. MIT Press.
15. Polanyi, K. (2001). The Great Transformation. Beacon Press.
16. Pomfret, R. (2019). The Central Asian economies in the twenty-first century: Paving a new Silk Road. Princeton University Press.
17. Pop-Eleches, G., & Tucker, J. A. (2017). Communism's shadow: Historical legacies and contemporary political attitudes. Princeton University Press.
18. Robinson, N. (2011). The political economy of Russia. Rowman & Littlefield Publishers.
19. Rodrik D. (2020) Straight Talk on Trade: Ideas for a Sane World Economy. – Princeton: Princeton University Press.
20. Sachs J. (2015) The Age of Sustainable Development. – New York: Columbia University Press.
21. Way, L. A. (2015). Pluralism by Default: Weak Autocrats and the Rise of Competitive Politics. Johns Hopkins University Press.